


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 2. იანვრის 10. 1893 წ. № 2.

4783

გაზეთის ფასი წლიურად: ტფილისში 7 მან., ტფილისს გარეშე 8 მან., ნახევარი წლით 4 მან, სამი თვით 3 მან. თითო ნომერი ღირს აბაზად. მსურველთ შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ რედაქციასთან შეთანხმებით.

გაზეთის დაბარება შეიძლება ჯერჯერობით შემდეგის ადგილებიდან: „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიიდან", (ტფილისი, ბანკის ქარვასლა) ქართულ ბიბლიოტეკიდან (ტფილისი ბანკისავე ქარვასლა) და „ჯეჯილის" რედაქციიდან. ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, Въ Редакцію* „Джеджили" *и* „Квали".

განცხადება გაზეთში დასაბეჭდად მიიღება როგორც ქართულს, ისე სხვა ენებზედ. ფასი განცხადებისა სტრიქონზე 5 კაპ.

## ორი შეხვედრა

ტფილისში ჩამოვედი 1862 წელს. თუმცა ისე ვიყავი დალალული, რომ მარტო ერთი ღამის მოსვენება არ კმაროდა გამოსაშუშებლად. მე მაინც მეორე დღესვე ადრე წავედი „ცისკრის" რედაქტორის სანახავად, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი და მიწერ-მოწერით კი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ის იდგა საკუთარს სახლში ალექსანდრეს ქუჩაში და სტამბაც აქვე ჰქონდა. ერთმა ახალგაზდა ტან-მორ-



ჩილმა ქალმა გამიღო კარი და ჩემი ვინაობა რომ გაიგო, ნათესაურად შემომცინა და თანაც შესძახა ქმარს:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე, ვინ გვესტუმრა!

გამოვიდა ერთი შავგვრემანი კარგი თვალ-ტანადი ვაჟკაცი, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ბოლოს ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით გადამეხვია. ის იყო ივანე კერესელიძე. საკვირველი მწუხარე სახე ჰქონდა. რომ იცინოდა, მაშინაც თითქო სტირისო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ეგონებოდა კაცს, მაგრამ ეს მოჭმუხვნა-სევდიანობა შვენოდა და სასიამოვნო საყურებელიც იყო. შემიწვია ოთახში. იქ მოხუცებული ქალი დაგვხვდა. ის მისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— დედი, ეს ის არის, რომ დასწერა: „გულს პერანგი დაჰფართხალებსო.“ ხომ გახსოვს? აკი, ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!... აი აგისრულდა კიდეც ნატვრა.

— უი, მართლა, შვილო!—წამოიძახა ბებერმა და გადამეხვია. დამსვეს, შემომისხდნენ გარს სამივე ისეთი შეხაფიფებით, თითქოს მათი დიდი ხნის დაკარგული შვილი ვყოფილიყავ და დამიწყეს მუსაიფი.

რედაქტორი მეკითხებოდა, თუ როგორ არიან, რას იქმონენ და რას ამბობენ „ცისკრის“ შესახებ პეტერბურგში სტუდენტებიო? მოხუც დედა-მისს უნდოდა უფრო იმერეთის ამბები შეეტყო და ახალგაზდა ცოლი კი ლექსებზე მესაუბრებოდა. არ ვიცოდი, რომელი ერთისთვის უნდა მევო პასუხი და ცოტა ხანს შემდეგ წასვლა დავაპირე. მაგრამ რედაქტორმა როგორღაც ახირებულად შემომხედა, გაიცინა, ბროლიევით კბილები გამოაჩინა, გადააქნია თავი და მითხრა:

— რაო, ყმაწვილო, ეკალმა ხომ არ გიჩხვლიტა? სად მიდიხარ, რომ მიდიხარ? ვაიმე, ვაიმე! შენც სკვინჩაობა გცოდნია? ვინ პოეტი და ვინ ევა? განა შენც სხვებს უნდა აჰყვე? სკვინჩობა! აი, ამოვარდეს მაგისი მომგონი!... მაგრამ ეჰება, არ იცი თუ რას ეძახი სკვინჩაობას? „ვიზიტს“! ერთი სკვინჩა ჩიტი არის მოუსვენარი. ჯერ ერთ ხეზე შეხტება და დაიძახებს, მერე მეორეზე გადაფრინდება... მერე მესამეზედ და ამ გვარად სულ ჩამოივლის მთელ ტყეს. ახლანდელი ვიზიტობაც სწორედ ამისთანაა!... ბიჭო, თუ არაფერი საქმე გაქვს, რად მოდიხარ? და თუ სათქმელი რამე გაქვს, მოიცადე და მითხარი! გიჟივით რად გარბიხარ? არა, მე ქართველი კაცი ვარ და ძალიან მეჯავრება ჩიტირეკიაობა!.. შენ ახლა სად უნდა წახვიდე? სასტუმროში? აბა, კიდეც ეგ სასტუმრო დაგვიყენებს ჩვენ თვალებს! იქ ხომ წყალსაც ვერ იშოვნი უყიდლად? ერთი სადილი ერთი თვის ხარჯად დაგიჯდება. მერე, რას გაჭმევენ, იმასაც რომ ვერ გაიგებ?! შეიძლება მოხრაკული თაგვი მოგიტანონ და შენ კი მწყერი გეგონოს. სჯობია ჩვენთან დარჩე სადილად. კაი მწვადი, კაი ჩიხირთმა, ყველი, წვანილი, ზედ კაი ღვინო, კაი პური და კაი გული...

მე სანამდი დავეთანხმებოდი, იმან ბიჭს დაუძახა. შემოვიდა ერთი პატარა მკვირცხლი ახალ-გაზდა და გაჩერდა.

— ამას არ იცნობ, ბიჭო, ვინ არის?—ჰკითხა ბატონმა—ეს თქვენი აკაკი არის.

ბიჭმა შემომხედა და გაიღიმა:

— არ ვიცი, ბატონო, მარა ახლა კი ვიცი! უპასუხა მარდად.

— ჰო და! მაშ ახლა შენებურად უნდა დატრიალდე. „სტატია“ აწყობილი გაქვს?

— ავაწყვე, ბატონო.

— კეთილი. სამზარეულოში?

— რიგზეა, ბატონო, ყოლიფერი...

— მაშ ახლა გასწი შვილო, ჩამოუარე ჩვენებს ყველას, დიმიტრის, [1]) ალექსანდრეს, [2]) ლავრენტის, [3]) ერთი სიტყვით ყველა ჩვენებს! ხომ იცი შვილო?... და სთხოვე რომ დღეს სადილად ჩემთან მობძანდნენ, გესმის?

ბიჭი შურდულივით გავარდა.

— აი, ეს ბიჭი ხომ ნახე?—განაგრძო ივანემ. იმერელია. წელიწადიც არ არის ჯერ, რაც გურიიდან ჩამომგვარეს. ანბანი ისწავლა და დღეს პირველი მესტამბეა... ნახავ, თუ ცოტა ხანს შემდეგ ლექსის წერაშიაც არ მაჯობოს! ასე ნიჭიერები ხართ შვილო, იმერლები. მერე მიუბრუნდა ქალებს:—დიასახლისებო! აბა, თქვენ ახლა სამზარეულოს მიხედეთ და ჩვენ კი აქ ვიქნებით. დავრჩით მარტო და ჩამოვაგდეთ საუბარი მწერლობაზე. სხვათა შორის მითხრა, რომ შენი უკანასკნელი ლექსი „შამილის სიზმარი“ ძალიან მომწონსო. ეფრემ *) მღვდელსაც მოეწონა, ცენზორსაო, მაგრამ ჯერ მაინც ვერ დავბეჭდავო... ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, შემოვიდა ერთი შუა ხნის კაცი ზრდილობიანად მოგვესალმა და რომ გამოვეცნაურეთ ერთმანეთს, ნელი ხმით მითხრა: მიამაო და მიჯდა განზე. ის იყო ლავრენტი არდაზიანი. როგორც ავტორს „მეჯლანუაშვილისას“ სხვა ნაირად დავუწყე ყურება და ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას გაჩერებულხარ? თუ მაგას უცდი, ვ[ერ] დიდ ხანს არ ამოიღებს ხმას! მაგას არ უყვარს ლაპარაკი... ერთს იტყვის, მაგრამ კარგსო—სთქვა მასპინძელმა და მიათითა ლავრენტიზე—აი მაგას მოეწონა შენი ლექსიო.

— რომელი! იკითხა ლავრენტიმაც.

— „შამილის სიზმარი“

— დიახ, მომეწონა. იბეჭდება?

— არა.

[1]) ბერიევი, [2]) ორბელიანი, [3]) არდაზიანი.

*) ალექსეევ-მესხიევი.

— რატომაო? ცენზორ...

— გრიგოლმა არა ქნა. ნამეტანი გამბედავად არის დაწერილი და კილოც იმერულიაო. ჯერ არ მინდა, რომ ვაწყეინო და მერე კი უთუოდ დავბეჭდავ.

— როდის მერე?

— ჩემ საქმეს, რომ მოვრჩები. რა ვქნა! მეტი რა გზა მაქვს რომ არ დავუჯერო? რაღად დაეფიცო, ჩვენიანები ხართ... ეს ოხერი სახლი მაქვს პრიკაზში შეტანილი და ვცდილობ, რომ მაპატიონ ვალი. გრიგოლიც შუამავლობს, მპირდება:—ჩვენი ყველაფერი მიაქვსთ და ჩვენც რომ ყვავს კაკალი გავაგდებინოთ, რა ცოდვააო.

ლაერენტიმ გაიღიმა. ივანემ შენიშნა და ჰკითხა:

— რას იცინი, მძრახავ განა?

— არა! მე სულ სხვა რამე მომაგონდა:—სთქვა დინჯად არდაზიანმა:—პატარძალი „ჯიჩი, ჯიჩის“ იძახოდა, საკენკს აპნევდა და ქათმები კი ყოველი მხრით მიფართქიალობდენ მისკენ. ხეზე აქვე მახლობლად გარეული ქათამი იჯდა და იმან გადმოსძახა შინაურ მოძმეებს:—ჰაი, თქვე, უბედურებო! არ იცით, რომ მაგ საკენკით მიგიტყუებენ, მიგიჩვევენ, გაგასუქებენ და როცა დასჭირდებათ, ლიჭილიჭის გიზმენ, თავს მოგჭრიან და შეგჭამენო.

— მერე ქათმებმა აღარ უპასუხეს, რომ სანამდი ჩვენ გავსუქდებოდეთ, შენ ხომ ორჯერაც მოკვდები შიმშილითო? ჰკითხა კერესელიძემ.

— არა. ეგ რომ ეკითხათ, პასუხსაც მიიღებდენ: გარეული ქათამი ამას ეტყოდა:—მართალია, ვერ გავსუქდები, მაგრამ შიმშილით მაინც არ მოვკვდები. სოფელი განიერია, თავს დავირჩენო!... ძალაუნებურად გასუქებას, ჩემს ნებაზე რომ მჭლედ ვიყო, ის მირჩევნიაო...

როგორც შევატყე, ბაასი გაგრძელდებოდა, მაგრამ ამ დროს ორი სტუმარი შემოვიდა: ერთი მუნდირით და მეორე ქართული კაბით. პირველი იყო დიმიტრი ბერიევი, მოლექსე და მეორე თ-დი ალექსანდრე ორბელიანი. მასპინძელმა ხუმრობით ვილაც იმერლად წამადგინა. ალექსანდრეს იმერლების ხსენებაზე ღიმილი მოერია და სთქვა: ძალიან მომწონს იმერეთი და მიყვარს იმერლები!... ქართველობა ჯერ კიდევ იქ უფრო წმინდად არის შენახული. აქ კი ყოველივერი, ენა, ზნე, ჩვეულება, თითქმის გადასხვაფერებული გვაქვს. ასე გასინჯეთ რომ სიმღერასაც ველარ ვახერხებთ ქართულად... ბაიათებსა და შიქასტებს გავჰკივით. ზურნა-დაფის ხმაზე ჩვენი საქრისტიანო ამოვარდა; მეფეები და ერი ეწამა და ჩვენ დღეს კიდევ მოგვწონს და გვენატრება ის ხმა. მაგრამ სულ სხვა არის იმერული ჩანგური და ზედ ღიღინი... ქართული გული იგრძნობს, რომ იმ ხმებში ძალაც ქართულია ჩამარხული!.. ამ გვარად და ამ კილოზედ ალაპარაკდა მოხუცებული ალექსანდრე, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო და თან-და-თან ცხარობდა. ბერიევმა წასჩურჩულა მასპინძელს:

— ივანე, შეაჩერე, თორემ ხომ იცი მაგის ამბავი! თვითონაც ატირდება და ჩვენც აგვატირებს და რა დროსია?

მასპინძელმა მართლა გააწყვეტინა სიტყვა და უთხრა:

— ბატონო ალექსანდრე, ეს რომ იმერელია იცი, მაგრამ თავის თავად ვინ არის, ის ხომ არ იცი? აკაკია, აკაკი!

ამ სიტყვებზე ალექსანდრე წამოდგა და გადამეხვია. ბერიევმა კი მხოლოდ ხელი გამომიშვირა. ამ ხალხის ქცევამ, მათმა გულ-გახსნილმა ლაპარაკმა და აღტაცებულმა კილომ სწორედ რომ გამაკვირვა. ლაპარაკობდენ ლიტერატურაზე, ჩვენს წარსულზე, მომავალზე და სხვა. საზოგადო საქმეებზე თუმცა ისინი შუა ხნის კაცები იყვენ და მე ჯერ სრულიად ახალგაზდა, მაგრამ მათი ჭაბუკური აღტაცება მეხარბებოდა... სადილად მასპინძელიც და სტუმრებიც ასე გახალისდენ, რომ მთვრალებსა ჰგვანდენ. მაგრამ ისე ღვინით არ ყოფილან მთვრალნი, როგორც სიამოვნებით.

კედელზე ჩამოკიდებული იყო თარი, ჩონგური, დაირა, დიმპლიპიტო, სალამური, ჭიანური და სხვანი. მასპინძელმა ჩამოიღო თარი, დაუკრა და დაამღერა:

ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება,
მდიდარიც ბევრი ნახულა
ოხრად რჩენოდეს ქონება....

შემოსძახა და მიუბრუნდა ალექსანდრეს.

— ბატონო, მართალია გძულს ეს სიმღერა, მაგრამ რა ვქნათ რომ მაინც კარგია.

— ვინ მოგახსენათ? ეგ სიტყვებიც კარგია და სიმღერის კილოც—უპასუხა ორბელიანმა.—ეგ სწორედ ნამდვილი ქართულია. მე ვამბობ თათრულ კილოზედ და ბაიათებზე.

— ვიცი, ვიცი. რომ თქვენი ხათრი არა მქონდეს, აი, ჩემ დედაკაცს ვამღერებდი... მერე მომიბრუნდა და მითხრა: —იცი, როგორ იმღერის ჩემი ცოლი? ბულბულია, ბულბული! ეს ხომ აქტრისად იყო ერისთვის დროს. მეც იქ ვიყავ. ამისმა სიმღერამა და თამაშმა გამაგიჟა და გადამრია. ვინ იცის, რაები არ ჩავიდინე მაგის გულისთვის! რომ მოგიყვე,

ბიბლიოთეკა

რომანია, რომანი... მაგრამ ახლა დრო არ არის კვლავ გეტყვი როდისმე...

სუფრამ დიდხანს გასტანა და მხიარულება თან-და-თან მატულობდა. ნასადილევს ყველა ისე ვიყავით გამხიარულებული, რომ მეტი აღარ შეიძლება. ყველანი სიყვარულით მეპყრობოდენ და თანაც, როგორც ახალგაზდას, დარიგებას მაძლევდენ. ორბელიანი ქვეყნისთვის თავ-დადებას მირჩევდა, კერესელიძე ბევრ წერას, არდაზიანი მეუბნებოდა, არ აჰყვე ზოგიერთებს, რჯულზე მტკიცედ იყავიო, და დიმიტრი ბერიევმა გამიხმო განზე და მითხრა:

— მე შევატყე, რომ ჩემი დანახვა არ გიამა, იმიტომ, რომ კვარტლის მუნდირი მაცვია. მაგრამ არც მაგრე გამოაშკარავება ვარგა თავის გრძნობისა. ევების არც მე... მაგრამ არ გაგიგონია, ძალა აღმართსაც ჰხნავს. ვინ იცის, ეგების ამ მუნდირში მე სულ სხვა გული მიცემდეს, გარეგნობით კაცი არ გაისინჯებაო.

ამ ახალ გაცნობილების დარიგება დღეს სასიამოვნოდ მაგონდება. მაშინ, როგორც ყმაწვილს, არ მეპიტნავა და დავაპირე მკვახე პასუხი მიმეცა, მაგრამ რედაქტორმა აიღო ჭიქა და დაიძახა:

— ეს ღმერთმა აცხონოს და საუკუნოდ განსვენება მისცეს პაატა ციციშვილს!

ამ სადღეგრძელოზე ყველამ სიცილი დაიწყო, გარდა ორბელიანისა, რომელიც მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ნამეტანი არა ვარგარაო და ჩვენ ქართველებს კი ზომა არა გვაქვს! და თანაც ისიც მიამბო, თუ რად იგონებენ პაატას?

პაატა ციციშვილი ყოფილა ძალიან პურადი ქართველი. დღე და ღამ სტუმრობაზე ყოფილა გადაყოლილი. ერთხელ მუხრან ბატონს შეუთვლია მისთვის მოციქულის პირით: — ბეჩა პაატავ! მე უფრო ბევრი შეძლება მაქვს შენზედ, მაგრამ შენსავით კი არა ვსცხოვრობო. ერთხელაც არის ხომ შემოგვეჭმება ყველაფერი და მერე რაღას იზამ? მაგის პასუხს ხვალ დილით მოგახსენებო, შეუთვალა პაატამ. მეორე დილას თურმე ვაიხედა მუხრანბატონმა, შეხედა ციციშვილის სახლს, რომელიც იმის სახლის პირდაპირ იდგა, და დაინახა, რომ ფიცარია გამოკიდებული და ასე ეწერა: „მოდით სტუმრებო! სანამ მაქვს შეძლება, ჩემებურად სულ ასე ვსჭამ და ასე ვიცხოვრებ და როცა აღარა მექნებარა, მეც მუხრანბატონსავით დავრჩებიო.

ამ ანდაზას თურმე ძალიან ხშირად იმეორებდა კერესელიძე და იმ დღეს ჩემთანაცა სთქვა. — იმ დღეს ძალიან გვიან გამოვეთხოვეთ მასპინძელს და წავედით ჩვენ ჩვენს სახლში.

შემდეგში კიდევ უფრო დავუახლოვდი ივანე კერესელიძეს და დავრწმუნდი, რომ ის ძალიან გულკეთილი და ქვეყნის ერთგული კაცი იყო. ცოტა ახირებული ლაპარაკი იცოდა, მაგრამ ეს კიდეც შვენოდა... საკუთარ-ფერს სდებდა!.. დრო და ვითარებამ შემდეგში ერთმანეთს დაგვაშორა...

შარშან, სწორედ ოცდა ათს წელს შემდეგ, ქუჩაში შემეყარა ერთი ვიღაც მოხუცი კაცი, გაჩერდა და შემომძახა: „კაცო, ეგ, შენა ხარო?“ მეც შევჩერდი და ვიცანი კერესელიძე.—ღმერთო რა ცუდია სიბერე და რანაირად სცვლის კაცს! ძველი ნაცნობი კერესელიძის ნიშან წყალიც 'აღარ ეტყობოდა.— სახეს მწუხარების ბეჭედი ღრმად დაესვა. რას მიყურებო! მითხრა მწუხარე ხმით.—გიკვირს განა რომ ასე მხედავ?.. ასე სცოდნია ამ მუხთალ სოფელს.

დავბერდი, დავჩაჩანაგდი,
წვერი შემექნა ჭაღარა.—
შინ ცოლშვილს მოვძულებივარ,
ბატონს უნდებვარ აღარა!...

მოიცა, შვილო, შენც ასე მოგივა, მაგრამ რას ვანბობ? შენ ღმერთმა გაშოროს ჩემი დღე.—კაი სიბერეც კარგია, მაგრამ ჩემი ღმერთმა შეინახოს.— ის კურთხეული დრო, შენ რომ გინახავს, წავიდა. ჩვენიანები, ვისაც იცნობდი, წავიდენ, აღარ არიან... ლავრენტი... დანიელი, *) დიმიტრი, ალექსანდრე და სხვანი. მეღა დავრჩი ობლად და მე რომ ჩემი გაჭირვება შევჩივლო, გულის მოსაფხანად, აღარავინ დარჩენილა.—სულ სხვა დრო მოვიდა, სხვა კაცები!... ჯვარცმული ვარ, სწორედ ჯვარცმული.. აი, ახლაც სუდიდან მოვდივარ. ღარიბი ხომ ყველასთან მტყუანია.—ამტეხია ერთი ვიღაც იუდა მოვალე და მაღრჩობს: ხან დილას შემათრევს სუდში და ხან საღამოს.. ვეუბნები: კაცო, ქრისტიანო, რა მოგიცია, რომ მთხოვო? უსამართლოდ ლისტი ჩაგიგდია ხელში და მაღრჩობ?... ჰა, შვილო, მიიხედ-მოიხედე, თუ რამე მებადოს, წაიღე და მომშორდი!... არა!. უნდა კოტრად „ნესოსტოიატელნად“ გამოგაცხადოო; ამ აზრით შემიყვანა დღეს სუდში, მაგრამ ღმერთმა უშველოს მღებროვს, ტყუილად-კი არ უყვარს საწყალ ხალხს. მე ვუთხარი, არაფერი მაბადია-მეთქი

— რა ხელობისა ხარო.

ქართველი ლიტერატორი-მეთქი.

— მაშ თუ მაგრეა, ნაწერები გექნება და ევეც ქონება არის, და აქედან დაკმაყოფილდეს შენი მოვალეო!‘.

*) ჭონქაძე.

ამ ერთს ჭორს გადაერჩი, მაგრამ სხვებს? რომელ ერთს გაუძლო. მაგრამ ამ გზაში რომ გაგაჩერე და შემოგჩივი, არა სჯობია, ჩემსა წავიდეთო!..

მომკიდა ხელი და წამიყვანა, ახალ გოლანდიაში იდგა. მის ოთახში რომ შევედი, შევკრთი... ძველებურად ველარა ენახე რა! თარი და ქიანური კი ისევ კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

— „აი, აბა, ამაზეა ნათქვამი — კიდევ დამიწყო:

ჩემი აელა-დიდებაო,
კატას აეკიდებაო!...

ერთი რაღაცა სალოდავი მამული მქონდა, იმასაც მიყიდის ბანკი. გუშინ მიველი, დავუჩოქე საზოგადოებას, მაპატიეთ, ნუ გამიყიდით და უარი მითხრეს: უსტავი ნებას არ გვაძლევსო. ვინ მე და ვინ მათხოვრობა, მაგრამ მე კიდევ სხვამ გამაბედვინა. საზოგადოდ ქართველისგან მამულის შელევა, ღვთის გმობაა. ჩვენი მიწები, სხვების ნეხვიან მიწებს კი არა ჰგავან, - „ჩვენი ქვეყანა გმირთა აკლდამააო, — ალექსანდრე იტყოდა ხოლმე. მე და ჩემმა ღმერთმა, რომ მართალია!.. ჩვენი მიწები სულ ქართველების, ჩვენი მამა-პაპების სისხლით არის მორწყული და ძვლებით დაპოხიერებული. ის უნდა ვიგინდარას, უცხოს, ჩაუარდეს ხელში და ჩვენი სიწმინდე ფეხითა სთრგუნოს! ვისაც შაფანსკის მეტი არა დაულევია რა, ის, რასაკვირველია, არას ინაღვლის. იმან რა იცის, თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ჩვენს მიწას ჩვენთან. — ჩემი დღე და სოფელი სულ ამას ვქადაგებდი და დღეს კი ჩემი თვალითვე უნდა ვნახო, როგორ ჩაიგდებენ ხელში ჩემს სიწმინდეს ვინმეები. — ამასა ვსწუხარ, თორემ განა ქონების სიხარბე მაქვს?

ამ გვარი რამეები ბევრი ილაპარაკა. ბედს უჩიოდა... მეც ჩემის მხრით ვანუგეშებდი და ვეუბნებოდი, რომ სახელი და დიდებაც კარგი რამე არისმეთქი. მაგრამ ის კი წამდაუწუმ იძახოდა:

რათ მინდა შენი დიდებაო,
შიმშილით კუჭი მიხმებაო. და სხ.

ბოლოს მითხრა: — ძალიან მიამა, რომ შემოხვედი. შენც უსახლკარო ხარ და მეც — არცარა შენა გაქვს და არც მე. მოდი, ერთი, ჩვენი არაფრები შევაერთოთ და პური ერთად ვსჭამოთო. — მეც დავეთანხმე, დავრჩი სადილად.

სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდა ივანე. დააიწყდა დარდები, ჩამოაგდო საუბარი საზოგადო საქმეებზე და სრულიად შეიცვალა. — ძველად ბერძნებს სწამდათ, რომ ხანდახან, ღმერთები და მათ რჩეულ კაცებს შევნებას უმატებენო. სწორედ მართალია, როდესაც კაცი მაღალი, ღვთიური, რამეთი არის გამსჭვალული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგნათაც იხატება და შვენება ემატება. —

ამ გვარ ყოფაში ჩავარდა მაშინ კერესელიძე. სახე გაუბრწყინდა, თვალები გაუდიდდა, გაიმართა წელში, ჩამოიღო დიდიხნის ხელ-უხლები თარი, ჩამოჰკრა სიმებს და დაამღერა:

„ხან მაქვს ყველი და პური;
ხანდახან მშიერი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემდური,
მაინც ბედნიერი ვარ!..“

სთქვა და ამოიოხრა — იმღეროდა, მაგრამ ის სიმღერა ორ-აზროვანი და ორ-ხმოვანი იყო. — სახეც აერია... ცალი თვალით იცინოდა, მაგრამ მეორეთი კი სტიროდა. და მეც, დღეს რომ მის საფლავს ვუყურებ, ორი თვალი ცრემლით მევსება.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, კარგო ქართველო.

აკაკი

## მიმოხილვა

უკანასკნელი ათი წლიწადი ისეთი ხანაა საზოგადოთ მთელი კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის, რომ ისტორიაში კვალ დაუმჩნეველი არ გაივლის.

1883 წელს შავი ზღვა შეუერთდა კასპიის ზღვას რკინის გზით. ამ წლიდან კავკასიის აქეთა მხარე შეიქნა მთელი ქვეყნის ხიდათ და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ გზათ. ლიხთ-იმერეთის ერი გამოჰყვა ამ რკინის მატარებელს და ჩავიდა კასპიის ზღვის პირად აღებმიცემობის გასამართავად. მას თან გაჰყვა ქართული ენაც.

გიორგი ბრწყინვალესა და ბაგრატ დიდს აქეთ ხუთასი წლიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შირვანის ქვეყნებს აღარ გაუგონია ქართული ენა. 1883 წელს აქეთ კი ქართველები თან-და-თან უფრო-და-უფრო ეტანებიან კასპიის ზღვისაკენ. დღეს ტფილისიდან მოკიდებული ბაქოს ქალაქამდის და კასპიის ზღვის იქითაც ყოველ რკინის სადგურზე თქვენ გესმით ქართული ენა, ქართველებს აქვსთ სავაჭრო სამიკიტნოები (რესტორანები) გაღებული. ისინი ვაჭრობენ, გესმით მათი დარბაისლური სიტყვა პასუხი, ამჩნევთ ჩვეულებრივს იმერულს სიმკვირცხლეს და ქართველურს გულ-უხვობას.

თქვენ გიკვირთ ეს ამბავი და უნებურად ანუგეშებთ თქვენს თავს; გულში ამბობთ: ასეთი ქართველების მისწრაფება ახალ-ახალ ქვეყნებში საიმედო სიცოცხლის ნიშნები უნდა იყოსო. ცხადია, რომ ქართველი იფხიზლებს მსოფლიო ალებ-მიცემობისათვის, აპირებს მსოფლიო განათლებაში მონაწილეობის მიღებას. ის არამც თუ რკინის გზას მიჰყვება და ეჩვევა ამ წარმატების იარაღით სარგებლობას, არამედ თავის ქვეყანაშიაც ხელს აწყობს მუშაობას; ეტანება ყოველნაირს ალებ-მიცემობას და მრეწველობას, დაჩხოვინობს თავის ღორღიან მთა-გორებში, ეძებს იქ მადნეულობას, ხის მასალას, ეცნობა უცხო ქვეყნის კაცებს, უახლოვდება და ცდილობს მათგან შეიძინოს სწავლა-მეცნიერება, გამართოს საერთო ვაჭრობა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით ქართველი გამოდის თან-და-თან გონების მცონარებიდან.

მამასადამე ჩვენი წმინდა მოვალეობაც ის უნდა იყოს რომ ამ გონების გაღვიძებას თანდათან ხელი შევუწყოთ, ვუჩვენოთ ერს ყოველივე, რაც კი მას გამოადგება ჩვენს ქვეყანაში იმის კეთილ-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბუნებას ეს ჩვენი ქვეყანა შეუმკია მრავალ-გვარონებით: აქ არის საუკეთესო ჰავა, საუკეთესო მიწის ნიადაგი. ამ მიწის ზედზე ყოველნაირი ბუნება მოიპოება, რაც კი დედამიწის ზურგზეა. არის ისეთი კუთხეები, როგორც მაგალითად შავი ზღვის პირები, განსაკუთრებით ბათუმის მაზრა, სადაც ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი, ყავის ხე და ჩაის ბუჩქი ტყედ გაიზრდება, მოგაგონებს ინდოეთსა და იტალიას. მაგრამ ისეთი ადგილიც კი არის, სადაც არც ხის მეტი არა მოიძევება-რა და მოგაგონებს ზნელეთისა (პოლუსის ქვეყანასა). არის ისეთი ნიადაგი, სადაც ბრინჯი, ბამბა და ჭირნახული ერთი მარცვალი ასსა და ორასს აძლევს; არის ისეთიც, რომ ქერისა და შვრიის მეტი არა მოდის რა. არის ისეთი კუთხე, სადაც ზამთარი თითქმის არ იცის; არის ისეთიც, რომ მთელის წლის განმავლობაში თოვლი არ აიღება. ზოგი ადგილია, რომ სახარის ქვიშიან მინდვრებს მოგაგონებს აფრიკაში, როგორც მაგალითად ზოგიერთი ადგილები შექი-შირვანისა; არის ისეთიც, რომ ნოყიერებით ამერიკაში მისისიპის ჭალებს სჯობია, როგორც მაგალითად რიონის ჭალები. ზოგგან ისეთი ტრიალი მინდვრებია, რომ მთას მოგანატრებს, როგორც მაგალითად მტკვრისა და რახსის (არაქსის) შესართავი ჭალები, არის ისეთი თვალუწვდენელი ფრიალო მთა-გორებიცა, სადაც უწრიაპოთ კაცი ვერ დადის.

რამდენადაც ეს გარეგანი ბუნება კავკასიისა მრავალ-გვარობით მდიდარია, იმდენად მის მიწის გულშიაც მოიპოვება აურაცხელი სიმდიდრე მადნეულობისა, რომელთაგან ზოგმა კიდეც იჩინა თავი მსოფლიო ალებმიცემობაში, როგორც მაგალითად ბაქოს ნავთის წყაროებმა, ქვა-გუნდამ (მარგანეცმა), ქვა ნახშირმა, გიშერმა, სპილენძმა, ვერცხლმა, ტყვიამ, გოგირდმა და რკინამ. ოქროსა და ძვირფასი ქვების კვალიც ბევრგან არის, მაგრამ ამათ მუშაობას ჯერ კიდევ დრო არ მოსვლია. თანახმად ამ ორგვარის კავკასიის სიმდიდრისა თვით კავკასიის მიწის პირი განიყოფება ორნაირად: ერთი — მთიანია და მეორე — ვაკე-მინდვრებიანი.

მთიან მიდამოს ეკუთვნიან ვაკე-გორები და კლდიანი ადგილები, სადაც უნდა აყვავდეს მხოლოდ მადნეულობის წარმოება; ვაკის მიდამოს კი შეადგენენ მტკვრისა და რიონის ჭალები თავის ხეობებიანა, სადაც უნდა აყვავდეს სხვა-და-სხვა ნაირი მიწის ნიადაგის მუშაობა და ყოველგვარი მეურნეობა.

ასეთს მრავალგვარსა და მრავალფეროვანს ბუნებას, სადაც მთელის ქვეყნის ჰავა და ნიადაგი და შიგ მიწისგულში ჩამარხული მრავალგვარი მადნის სიმდიდრეა შეზავებული, უეჭველად უნდა ესხას ისეთი ერი, რომლის ბუნებაში მთელი დედამიწის ერთა გონების დვრიტა უნდა იყოს შთანერგული. მართლაც კავკასიის ნიადაგზე ძველის დროიდან მცხოვრები ქართველი დღეს თუმცა ჯერ კიდევ გაუნათლებელია, მაგრამ მაინც იმდენს ბუნებითს ნიჭსა და გონებითს სიმკვირცხლეს იჩენს, რომ ეჭვი არ უნდა გვქონდეს მის მომავალზედ.

ამ უკანასკნელის ოცის წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში აყვავდა სამი დიდი მადნის წარმოება: ნავთისა, ქვა-გუნდასი (მარგანეცის) და ქვა-ნახშირისა. მართალია ამ სამ საქმე დიდს მადნეულობის წარმოებაში პირველი ადგილი უჭირავთ თითო ოროლა ქართველებს, როგორც საქმის დამწყებებს, ესე იგი ინიციატორებს. მოვა დრო, როდესაც ტყიბულის ქვა-ნახშირისა, მარგანეცისა და ნავთის წარმოების ისტორია დაიწერება და მაშინ ვერცარავინ დაივიწყებს იმ კაცების სახელს, რომელთაც პირველად მიუთითეს ქვეყანას ამ მადნებზედ და გაჰკვალეს გზა იმათ საწარმოებლად. ვინ იტყვის, რომ იმათ ამ საქმეებში ბევრი გონების სიმკვირცხლე, ბევრი ჯაფა და გაჭირვება არ გამოეჩინოსთ? მაგრამ რა გამოვიდა? იმათმა ნიჭმა, ღვაწლმა და გაჭირვებამ ამაოდ ჩავლო, როგორც მათთვის, ისე მომავლებისათვის. ერმა ვერ ისარგებლა ვერც მათი ნიჭიერებით ვერც მათი მოქმედებით, ვერც მათი ნაყოფით, ამიტომ რომ ამ კაცებს აკლდათ საზოგადოების თანაგრძნობა და დახმარება, აკლდათ იმიტომ რომ თვით ქართველს საზოგადოებას არ ქონდა ამის გაგება და მიხვედრა. იმ თითო ოროლა გონება-გამჭრიახის კაცების ღვაწლი და განსაცდელი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ერთი და ორი კაცი ვერას იზამს ქვეყნისათვის, თუ თვითონ მთელი ერი არ იქნება თანამგრძნობელი და მათი დამხმარე. როცა ერთი კაცი მარტო მოქმედობს და მის ნაყოფიერს შრომას მისნი თანამემამულენი და მოძმენი არ თანაუგრძნობენ უცოდინარობისა და გაუგებრობის გამო, მაშინ იმ ერთის კაცის ნაყოფს სხვა დაასჯდება თავზე, სხვა შეირგებს, როგორც ეს მოხდა ტყიბულის

ნახშირის წარმოების შესახებ, როგორც ეს მოხდა ბაქოს ნავთის წარმოებაშიაც. დღეს ტყიბულის ქვანახშირი ვისაც ჩაუვარდა ხელში ხომ ყველამ კარგად ვიცით. ბაქოს ნავთით შეძენილს ოქროებს დღეს რომ შილდი და ნობელი არ იდებს ჯიბეში?..

დაგვრჩენია მხოლოდ-ღა ქვა-გუნდის (მარგანეცის) წარმოება, რომელიც დღეს თუმცა კიდევ ჩვენს მეპატრონეებს უჭირავთ ხელში და აწარმოებენ; მაგრამ ვინ იცის, ხვალ ვინ დააჯდება კისერზე? დღეს თუ ხვალ ჭიათურის რკინის გზა გათავდება. ოჰ, რა სითვალხარბით უცქერიან მორიდან ამ საქმეს ფულიანი მდიდარნი ევროპიელნი! იმათ იმედი აქვთ გამოგვაცალონ ეს სიმდიდრე და მზა-მზარეული ხელში ჩაიგდონ ტყიბულის ქვანახშირისა და ბაქოს ნავთის მაგალითი განა წინ არ გვიძევს?..

ქვა-გუნდის წარმოებასაც ეს ბედი მოელის, თუ ჩვენმა მწარმოებლებმა ხელი არ გამოიღეს, არ შეერთდენ და არ მისცეს პირი ერთმანერთს, რომ თვის შორის ამოირჩიონ რამოდენიმე გონება-განვითარებული და საქმის მცოდნე ქართველი და მათი თაოსნობით შეადგინონ საერთო სინდიკატი. ამ სინდიკატის წევრებმა შეთანხმებულ ფასად უნდა ჰყიდონ თავიანთი ქვა-გუნდა გარეშე ქვეყნებში. დროა შევიგნოთ, რომ ამისთანა დიდი წარმოება მხოლოდ საერთო შეთანხმებით, საერთო მოქმედებით და საერთო საშუალებით შეუძლიან ჩვენს ხალხს შეირჩინოს. ერთსა და ორს კაცს, მეტადრე ჩვენში, სად აქვს ის შეძლება, რომელიც საჭიროა ასეთი დიდი წარმოებისათვის? ყოველს ამისთანა შემთხვევაში მხოლოდ საერთოდ შეკრებილი ძალა და საშუალებაა საქმის დამძლევი. მაშ ვისურვოთ ჩვენც, რომ ქართველმა მწარმოებლებმა შეიგნონ მალე საერთო ძალით მოქმედების საჭიროება

## ხალხური

სოფელსა ვიმყოფებოდი,
გავვლე საწუთრო დღენია.
ხან ავად ვიყავ, ხან კარგად,
მაგრამ ეს არა მწყენია;
ხან დავდიოდი ქვეითად,
ხან მყავდა კაი ცხენია.
სოფელი კაცსა გამოსცდის,
ამისთვის არა მრცხვენია.
სიმდიდრე კაცსა გადარევს,
თუ მოერია თითრია, *)
აგრევე სიღარიბეში
დაავიწყდება ღმერთია.
სჯობს სიღარიბე სიკვდილსა,
რაგინდ ღარიბად ეთრია;
გონიერ კაცსა რომ ჰკითხო,
მისთვის ორივე ერთია.

*) ფული

## სწავლის საქმე ჩვენში

როცა ძველნი რომაელნი თავიანთ მმართველებს თხოვნით მიმართავდენ ხოლმე, ერის კიჟინში გარკვევით გაისმოდა: მოგვეცით პური და გასართობი. მაშინდელი საზოგადოება კმაყოფილდებოდა პურით კუჭის გამოსაძღობად და თუ ამ სანოვაგეს დაუმატებდენ გამხეცებულ პირუტყვთა ბრძოლას სასიკვდილოდ გადადებულ მონებთან, რომელთაც განგებ ამ საქმისთვისა სწვრთიდენ და გლადიატორად უწოდებდენ, მაშინ ხომ ნაკლებულობას აღარასა გრძნობდა. დრონი იცვალენ და დროთა ცვლამ მოიტანა სხვა საჭიროება, სხვა გემოვნება, სხვა მოთხოვნილება. დიდი ნაბიჯი რომ გადმოვდგათ, ორი ათასი წელიწადი გვერდზე მივაგდოთ და ჩვენის პატარა საზოგადოების მოთხოვნილებაში ჩავიხედოთ, ვნახავთ იმავე საერთო ჩივილს, საერთო გოდებას. მხოლოდ საგანი შეცვლილია: უწინ თხოულობდენ პურს და გასართობს, ეხლა თხოულობენ სწავლას. სწავლა სურს მდიდარსაც, შუათანა შეძლების პატრონსაც და თვით იმისთანა იბოლ-ოხერსაც, რომელსაც სულს აქეთ იქნება აღარა დარჩენია-რა და მაინც კი სწავლას ეპოტინება. ნუ ისწავლი და მღორედ დავაყენებენო, ეუბნება ილაჯ-გაწყვეტილი დედა თავის ყრმას და ზარმაცს შვილს და ამ ორი სიტყვით თვალსაჩინოდ გვიხატავს საგრძნობელს წყურვილს, საერთო სურვილს დიდით პატარამდე მოდებულს.

რა თქმა უნდა ამ ერთობრივს წადილს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი აქვს და დაურღვეველი მიზეზიც. ხალხი ჰხედავს, რომ არსობითს ბრძოლაში ბურთს ის გაიტანს, ვინც სწავლით შეჭურვილია და თითონაც ცდილობს ამ დაუძლეველ და გაუტეხელ იარაღით აღიჭურვოს.

თოთხმეტ-თხუთმეტი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი ერის სათავეში ჩაყენებულმა თავად-აზნაურობამ ამ იარაღის საშოვრად ცოტაოდენი ღონე მოძებნა და როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში სათავად-აზნაურო სკოლები დააარსა. აზრი ამ სკოლების დაარსებისა ცხადი იყო. საზოგადოება ჰხედავდა, რომ შუათანა სასწავლებლებში — რეალურში და გიმნა-

ზიებში, საიდანაც უმაღლეს სწავლისადმი გზა იხსნება, ქართველობა მეტად მცირეა და მცირე იმიტომ, რომ უფრო სოფლებში მომწყვდეულს ქართველებს არა აქვთ შეძლება ცალკე საშუალების უქონლობის გამო, ცალკე რუსულის უცოდინარობისა თავიანთ შვილები ჯეროვანად მოამზადებინონ და გიმნაზიებში მიაღებინონ. იმასაც ჰხედავდა, თუ რამდენი გულის-ტრიალი, რამდენი წვალება, რამდენი შიში უნდა გამოეარათ მშობლებსაც და შვილებსაც, ვიდრე ფერმკრთალნი და აკანკალებულნი წარსდგებოდენ წითელ მაუდით გადაფარებულ საეგზამენო სტოლწინ, რომ შესტოლებოდენ ბევრად უკეთესად მომზადებულ ქალაქელებს. მერე რა გამოდიოდა ამ შეტოლებიდან? გამარჯვებული ისა რჩებოდა, ვინც ბავშობიდანვე ქალაქებში ტრიალებდა და სახლში თუ სახლ გარედ ნიადაგ ესმოდა ის ენა, რა ენაზედაც აჰერინებდენ ეგზამენებს და რომელზედაც უნდა განეგრძო მას სწავლა მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში. როგორ მოერეოდა ქალაქებში გაწვრთნილ და დაგეშილ ბავშვებთან სოფლიდან ხამად ჩამოყვანილი? ქალაქელზედაც რომ უკეთესი ყოფილიყო ცოდნითა და განვითარებით, მაინც ცოდნისა და განვითარების იარაღის უქონობის გამო, ენით გამოუთქმელობის წყალობით, უნდა უკან ჩამომდგარიყო და გზა თავის ბედნიერ მეტოქესათვის დაელოცნა.

აი, სწორედ ამ გაჭირების ასაცილებლად თავადაზნაურობამ სათავად-აზნაურო სკოლები დააარსა და საფუძვლად ის დაუდო, რომ ხამი ბავშვები დედაენის საშუალებით მოემზადებინა საშუალო სასწავლებლებში მისაცემად. პირველად დაარსდა მხოლოდ მოსამზადებელი კლასები და მომატებას არავინა ჰფიქრობდა. ამ კლასების დასრულების შემდეგ ბავშვები უნდა შესულიყვნენ გიმნაზიის, რეალურ სასწავლებლების და კადეტის კორპუსის პირველ კლასებში. გაიარა ოთხმა წელიწადმა, ყმაწვილები მომზადდენ პირველ კლასისთვის, მაგრამ აქაც დაბრკოლება წინ დაუხვდათ: პირველ კლასში ვაკანსიები არ იყო და თუ იყო, ისე ცოტა, რომ ათში ერთიც ახლად დაარსებულის სკოლების შეგირდი თავის წადილს ვერ მისწვდებოდა. ამას გარდა, უნდა გამოტეხითა ვთქვათ, რომ თუმცა ბევრი შეგირდი სათავად-აზნაურო სკოლისა საგნებში კარგად მომზადებული იყო და განვითარებაშიც არავის ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სამსა და ოთხს წელიწადში ისე ვერ შეეთვისა სახელმწიფო ენა, რომ ცუდს გამოთქმას შესამჩნევად არ დაეშალა, და ბევრისთვის ხომ გარეგანი თვისება საკმარისია უარის სათქმელად და შინაგანს ბუნებას ბავშვისას, მის ცოდნა-განვითარებას აღარ ეკითხება.

რა უნდა ექნათ ამ გვარ გაჭირებაში სკოლების გამგეთ? რა გზა უნდა მიეცათ ყოველ წლივ ოცისა და ოც-და-ათის რიყეზე დარჩენილი ბავშვისათვის? თვითონ ცხოვრებამ გასცა ამაზედ პასუხი და ასე ჩააგონა: თუ თქვენი შვილების შუათანა სასწავლებლებში მიცემა გწადიანთ, მიუმატეთ პირველი, მეორე და სხვა პროგიმნაზიული კლასები და იქიდან გადიყვანეთ მთავრობის სასწავლებლების შესაფერ კლასებშიო. მაშინ სახელმწიფო ენასაც ისე გაიკვეთენ, რომ გამოთქმაში განსხვავება აღარა დაეტყობათ-რა ქალაქელ ყმაწვილების გამოთქმასთან შედარებით და ვაკანსიებიც უფრო ბევრი იქნება უფროსს კლასშიო.

შეასრულეს ეს ცხოვრებისაგან ჩაგონებული დარიგება, მიუმატეს კლასი კლასს და ბოლოს, ბევრის რყევისა და იჭვნეულობის შემდგომ, ორივე სასწავლებელმა ქუთაისისამაც და ტფილისისამაცა არჩია კლასიკური ოთხ-კლასიანი პროგიმნაზია თავის ოთხი მოსამზადებელი კლასით. კლასიკური სისტემა ირჩიეს ჯერ იმიტომ, რომ კლასიკური გიმნაზიები გზას უხსნიან თავის მოწაფეებს უნივერსიტეტებისაკენ და მეორედ კიდევ იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასიკური გიმნაზიების რიცხვი ბევრად მეტობს სხვა გვარ შუათანა სასწავლებლების რიცხვს და ამიტომ ვაკანსიებიც მეტია ამ გიმნაზიებში, ვიდრე სხვა სასწავლებლებში.

ათი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც სასწავლებლებმა ეს ხასიათი მიიღეს და ათის წლის განმავლობაში ბევრი შეგირდი გადავიდა ამ სკოლებიდან მთავრობის სასწავლებლებში და ზოგმა აქ კურსის გათავების შემდეგ უმაღლესებშიაც განაგრძო სწავლა. ჩვენდა საბედნიეროდ ისიც აშკარად დამტკიცდა ამ სასწავლებლის არსებობის წყალობით, რომ, თუ ბავშვის ჯეროვანი განვითარება გვსურს და არა თუთიყუშიებით გაწვრთნა, პირველ-დაწყებითი სწავლა ბავშვისთვის გასაგონარს დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს და ამ ენას მასუკანაც პირველი ადგილთაგანი უნდა ეჭიროს სხვა საგანთა შორის. არამც თუ ეს თვალსაჩინოდ თვით სათავად-აზნაურო სასწავლებლებში დამტკიცდა, ამ სასწავლებლების გავლენა ცხადად ეტყობათ ბოლომდე გიმნაზიებში გადასულებსაც სადაც ისინი კარგ მოწაფეებად ირიცხებიან.

ეს ასეა, მაგრამ მაინც რაღაცა უკუღმართი ბედი აქვს ყოველს ჩვენგან დაწყებულს საქმეს. ვივიწყებთ, რაც კეთილი ნაყოფი მოაქვს და გვაგონდება მხოლოდ ის ხარჯი და შრომა, რასაც მას ვანდომებთ. გვავიწყდება, რომ რაკი საქმე რამ დავიწყეთ და ჯეროვანს შედეგსაც ვხედავთ, ამ საქმეს ხელის შეშლა და დაბრკოლება კი არ უნდა, ხელის გამართვა, წა-



ბ. ანდრეევსკისა

კნ. ანასტ. გაგარინისა

ქეთევან ორბელიანი თამაშობდა თათლას როლსა, ანასტასია ორბელიანი გაგარინისა—შუშანას როლსა, მარიამ ერისთავისა—ყარდაშერდის და ანასტასია ორბელიანი ოგლობჟიოსი—კნიაჟნა ნინოს.

კნ. ქეთევან ორბელიანისა და აქ დასახელებული პირები, რომელთა სურათებიც აქ არის დახატული თამაშობდენ „გაყრის“ პირველ წარმოდგენაში. თვითონ ნახატები გადმოვი-ღეთ ტიმოთე ბელოევის ალბომიდან. ის იყო ვორონცოვის დროს არხიტექტორად.

ქეზება, დახმარება ეჭირვება. ამ საერთო სენმა, რომელიც თითქო ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, უფრო თავი ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლების შესახებ იჩინა. მაშინ, როდესაც ამ სკოლებმა ფესვი გაიდგეს და მათგან მოტანილს სარგებლობას აშკარად ვხედავთ, როცა მათ მეკობრულად ხელის-შეწყობა, გულ-ახდილად ნაკლის ჩვენება და მათთა გამგეთა გამხნევება და წმინდა მოვალეობის შესრულებისადმი წახალისება უნდათ, ამ დროს წელიწადი არ გავა, რომ თვით ამ სკოლების არსებობაზე ლაპარაკი არ ჩამოვარდეს და ლაპარაკი არა მარტო შინაობაში, არამედ საჯაროდ, კომისიებში, საზოგადო კრებებში.

ჩვენ კარგად არ გვესმის მიზეზი ესრედ საქმის არევ-დარევისა. მართალია, გვჯერა იმათი გულწრფელობა, რომელნიც ამბობენ მოსამზადებელს კლასებს დავჯერდეთ და დანარჩენი ფულით სამეურნეო სკოლები გავხსნათო; მაგრამ ამ აზრის წარმომთქმელთ ავიწყდებათ, რომ სამეურნეო სკოლები თუმცა სასარგებლო დაწესებულებაა და ჩვენი საზოგადოებაც უნდა ზრუნავდეს მათ დაარსებასა და აყვავებისათვის, მაგრამ საქმე, რომელიც დაგვიწყია და ფეხზე დაგვიყენებია, რომელსაც თავისი შესაფერი ნაყოფი ბევრი თუ ცოტა მოაქვს და გზას გვიხსნის უმაღლეს სწავლისადმი, ამისთანა საქმე კი არ უნდა მოვსპოთ, უნდა ავაღორძინოთ, დავამკვიდროთ.

თუ ვისმე ამ სკოლებზედ დახარჯული ფული აფიქრიანებს და იქნება ამბობს კიდეც, ეს სასწავლებელი რომ არ გვქონოდა, ნახევარ მილიონამდე ფული შეგვენახებოდაო, ამისთანა კაცებს მოვაგონებთ ერთის ძუნწის კაცის მოსაზრებას, რომელიც ჩოტკზედ ანგარიშობდა თურმე ამ წელიწადში პური რომ არ მეჭამა, ამდენი და ამდენი კოდი პური და კოკა ღვინო დამრჩებოდაო. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწავლისა და განვითარებისა გაზომაც მეტადრე ეხლანდელ დროში შაურებითა და აბაზებით აღარ მოხერხდება. ნურც არავინ იმას დაიხვევს საბუთად, თუ ერთსა და ორ სათავად-აზნაურო სკოლებიდან გამოსულს ყმაწვილს უსაქმოდ მოსიარულეს შეხვდება, — რადგან დედამიწის ზურგზედ იმისთანა სასწავლებელი არ არსებობს, საიდანაც რამდენიმე შეგირდი მაინც უხეირო და ქვეყნის გამოუსადეგარი არ გამოვიდეს.

დასასრულ მივმართავთ ყველას, ვისაც კი ჩვენის ქვეყნისთვის გული სტკივა და ვიკითხავთ: რას ევავნება, რომ ეს ერთი უუსაჭიროესი იარაღთაგანი ჩვენის წარმატებისა ჩვენივე ხელით მოვსპოთ და სწორი გზა ჩვენის ბუნების შესაფერი შევიკრათ უმაღლეს განათლებისადმი? ახლანდელს რთულს ცხოვრებაში, როდესაც ყოველ ნაბიჯზედ საჭიროთნი არიან უმაღლესი სწავლით შეჭურვილნი მამულის შვილნი, რას დაემზგავსება ჩვენი საზოგადოება, თუ დავანგრევთ სწავლისადმი მისაღწევ საფეხურებს და ხახა-გამშრალნი დავიწყებთ მაღლა, უფრო ბედნიერებისაკენ ცქერას, თითქო მოწყალების გამოსათხოვად.

ღმერთმა გვაშოროს ამისთანა ფიქრებიც და ამისთანა ბედიც.

## ორმოცდა სამი წელი ქართულის თეატრისა*)

ამ წლის 2 იანვარს შესრულდა ორმოც-და-სამი წელიწადი, მას აქეთ, რაც პირველად ქართული წარმოდგენა გაიმართა. როგორც შევიტყეთ, ტფილისის სათეატრო დასი ემზადებოდა ამ დღისათვის წარმოედგინა სცენაზე ის წამი, როცა მთავარმმართველის თ. მ. ს. ვორონცოვის წაქეზებით თ. გიორგი ერისთავმა თავს იდვა ქართული სცენის გამართვა და ამის გულისთვის შეადგინა სათეატრო დასი იმ პირთაგან, რომელნიც იმ დროს ევროპის განათლების წარმომადგენლებად ითვლებოდენ საქართველოში.

სწორედ საუკეთესო საახალწლო საჩუქარი იქნებოდა ეს წარმოდგენა საზოგადოებისათვის და თვით ქართულს თეატრის დასსაც შესამჩნევ მოღვაწეობად ჩაეთვლებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს საქმე არ მოხერხდა.

ამის მაგიერად ტფილისის სათეატრო დასმა წარმოადგინა „გაყრა“ და ერთი მოქმედებაც „მზის დაბნელებისა“. ქართველი საზოგადოება დიდი სურვილით შეგროვდა თეატრში და გაავსო იგი კიდეც; მაგრამ ქართულმა დასმა ვერ გაამართლა სრულიად თავისი წადილი. მომქმედ პირებმა საერთოდ ვერ ითამაშეს ვერც „მზის დაბნელება“, ვერც „გაყრა“ პიესების შესაფერად. იმათ არ ჰქონდათ მწყობრი მოქმედება, დიდი არევ-დარევა მოუვიდათ სცენაზე და ავტორისაგან ხელოვნურად გამოყვანილი ცხოვრების ტიპები უფრო ბაზასხანურ რაინდებს გვაგონებდენ. ყველაზე კი ვერ ვიტყვით ამას. ერთად ერთი წარმომადგენელი ნამდვილის ტიპისა გამოჩნდა იმ საღამოს ვასილ აბაშიძე, რომელიც, ეს თუთხმეტი წელიწადია, გაუწყვეტლად მოღვაწეობს ქართულს

*) ამ წერილის მასალად სხვათა შორის მქონდა ახალი პიესა პ. უმიკაშვილისა, დაწერილი ორმოც და სამის წლის დღესასწაულობის გამო. ავტ.

სცენაზე. არც კოტე ყიფიანს უჭირდა-რა. სხვანი კი ღმერთმა შეინახოს.

ჩვენ ამ ამბავს მხოლოდ გაკვრით ვიხსენებთ, რადგან თავი აზრი წერილისა სულ სხვა არის. ჩვენ გვინდოდა ამ ორმოც და სამის წლის სათეატრო დღესასწაულის გამო თვალი გადაგვევლო იმ დროსთვის, როცა ჩვენს ქართულს საზოგადოებაში მზადდებოდა ნიადაგი ევროპიულის სწავლა-მეცნიერების მისაღებად და როდესაც ევროპიული მეცნიერებით გონება-განვითარებული ქართველი თანასწორად უმზადებდა მათრახებს, როგორც ძველს უვარგს ცხოვრებას, ისე ახალს განათლებას, რომელიც მაშინ შემოდიოდა მხოლოდ გარეგანი სახის მიბაძვით და ეს მიბაძვა ბევრის მომავალი უბედურების მომასწავებელი კი იყო. იმ დროს, როგორც ვიცით, აქცევდენ ყურადღებას უფრო გარეგან სამოსელს განათლებისას. ქალები გატაცებული იყვენ ფრანცუზულ შლაპებით, გულღია მკერდის გამოჩენით და უცხო ენაზე ლაპარაკით. ოჯახებს სტოვებდენ ბალებში ტანცაობის გულისთვის, მოსწონდათ ულვაშ-გაწკიპინებული გვარდიის აფიცრები და მათთან კეკლუცობა. კაცები კი გულის ძგერით მოელოდენ პატიჟობის წერილს დიდებულს ბალებში და მასკარადებში, ეძებდენ შემთხვევას ლანცკნეხტი ეთამაშნათ, დიდ-ჩინიანებთან თავი გამოეჩინათ და უცხო ენაზე მათთან ლაპარაკით თავისი ევროპიელობა დაემტკიცებინათ, თუმცა მათს გონებას და ჭკუას ევროპის სწავლა-მეცნიერების ნაპერწკალი ჯერ არც კი მოხვედროდა. განათლების ნიშნად იმათ ეცვათ ფრაკი და მუნდირი, თუმცა გული და გონება სწავლა-მეცნიერებით არ ჰქონდათ გაპოხიერებული. მათი ქალები თუმცა განგებ თმებს იხუჭუჭებდენ იმ გვარად, მარკიზ დე პომპადურების დროს რომ იცოდენ, და გულ-გალიალებულნი დაჰქროდენ ვარანცოვის ბრწყინვალე ბალებზე და რაუტებზე; მაგრამ სამწუხაროდ ჯერ მეცნიერებით ხელშეუხებელი გრძნობა და ჭკუა მხოლოდ თვალებში ჩასხდომოდათ და ამის გამო ისინი გარეგანს ბრწყინვალებას ძვირფასის ცხოვრებისას გაეტაცნათ. ამისთანა ფუფუნებაში და ძვირად ღამჯდარს განცხრომაში ატარებდა დროს ქალი და კაცი. იმათ დავიწყებოდათ ოჯახი, ძველი დარბაისლობა, ქვეყნის გულისთვის მზრუნველობა, ნამდვილი სწავლა-მეცნიერების ძიება თავის სამშობლო ენაზე და გამხდარიყვენ თუთიყუშურად უცხო ენაზე მოლაპარაკე და საშუალების შეუფერებლად მცხოვრებნი. როგორი ღირსების უნდა გამოსულ-იყო ან ამათი შთამომავლობა, ან ამათი მეურნეობა და ოჯახ-მამულის მზრუნველობა? თითო ოროლა კაცს, რომელიც გონების თვალით შესცქეროდა ასეთს სურათს, გული უკვდებოდა და კარგს არას მოელოდა. ის ცხადად ხედავდა, რომ მათი შთამომავლობა თანდათან უფრო უნდა გალატაკებულ-იყო, როგორც გონებით, ისე ქონებით. ვინც გონებიანი იყო, კიდეც ხედავდა, რომ ასე ფუქსავატად მცხოვრები საზოგადოება ბოლოს ისეთს დროსაც შეესწრობოდა, როცა მათი მამა-პაპური ენა, დარბაისლობა, სამშობლოს სიყვარული და სამშობლო ენაზე სწავლა-მეცნიერება დაეცემოდა.

აი, ეს თითო ოროლა სწავლა-მეცნიერების წარმომადგენელნი, მაშინდელნი ქართველნი, ბრაზ-მორეულნი, შეჰყურებდენ ასეთს გზა-დაკარგულობას. ისინი ემზადებოდენ თავ-დავიწყებულის ჩვენის საზოგადოების განკიცხვას და უარყოფას. ასეთი ქვეყნის გულ-შემატკივართაგანი იმ დროებაში იყო სხვათა შორის თ. გ. ერისთავი (გლუხარიჩი) და ნიკო ბარათაშვილი. პირველმა იხმარა მაშინდელის წყალ-წაღებულის საზოგადოების მოსაქცევად სცენა, მეორემ კი გულის შემბზარავი და გრძნობის ამგზნები პოეტური ჩანგი; მაგრამ, რომ ვერა გააწყო რა თავის თანამედროვე საზოგადოებაში, გულ-გამეხებით თითქოს უარჰყო თავის საზოგადოება და სამშობლო ქვეყანა ამგვარი სიტყვებით:

ნუ დავიმარხო ჩემსა სამშობლოს,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისამ,
ნუცა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

სწორედ ძალიან დაცემული უნდა ყოფილიყო სულით და გონებით ქართველი საზოგადოება, თუ მისი საუკეთესო შვილიც ხელს იღებს მაზე თუნდ ერთი წამითაც.

აი, ასეთს დროს გამოუჩნდა მამხილებლად ქართველ საზოგადოებას გ. ერისთავი, რომელმაც სცენის საშუალებით სარკეში ჩაახედა და დაანახვა უკუღმართი ცხოვრების სურათი.

ერისთავს გვერდით უდგენ მისი თანამგრძნობელნი, რომელთა დახმარებით ის ემზადებოდა კომედიის „გაყრის“ პირველად წარმოდგენას სცენაზე.

ვინ წარმოიდგენს იმ გაჭირვებას და დაბრკოლებას, რაც გ. ერისთავს აუტანია იმ დროებაში ქართულის სცენის დაარსებისათვის. ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ძველი ჩვეულობისა და დარბაისლობის სული ტრიალებდა საქართველოში. თუმცა ის ქანც-გამოლეული იყო; მაგრამ მრისხანე აჩრდილი წარსულისა, ბატონიშვილის მარიამის*) შოლტია-

*) ბატონიშვილი მარიამი იყო მეფე ერეკლეს შვილის შვილი, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის და. ავტ.



ან. დადიანი

კნ. ქეთევან ორბელიანისა

ნის სახით წარმომდგარი, მაინც არ აძლევდა მოსვენებას ახალ თავ-მოხდილს და შლაპებ-დახურულს კნეინებსა და კნიაჟნებს: ერთი ბატონიშვილის მარიამის სიტყვა მათთვის შიშის ძგერის ამტეხი იყო; მაგრამ ახალ ფუქსავატ ცხოვრებას შეჩვეულნი მანდილოსანნი მაინც ჩუმ-ჩუმად ისევ იმ განცხრომისკენ მიისწრაფებოდენ.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ეს გარემოება, ცოტაც არის, არ შესწეოდეს გიორგი ერისთვის მოქმედების დაგვირგვინებას.

ქართველ საზოგადოებას სცენა ძაღლებისა და ჯამბაზების სათამაშო ასპარეზად ჰქონდა იმ დროს წარმოდგენილი, ხოლო კომედია და დრამა ჯამბაზობად. მაღალი წოდების და გვარის კაცი, ანუ ქალი იმდენად როგორ დაიმცირებდა თავს, რომ სცენაზე გამოსულიყო და ჯამბაზის ანუ მროკველის სახელი ეტვირთა. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თითო-ოროლა კაცი, რომელიც იმ დროს მეცნიერის სახელს ატარებდა და თავის თავს ფილოსოფოსს უწოდებდა, ზურგს უკან და პირშიაც ძრახავდა ჩვენს დრამატურგსა, ამხილებდა მას მოუმზადებლობას, საკმაო განათლების უქონლობას, რომ ამით მაშინდელი საზოგადოება კიდევ უფრო აეყაყანებია გ. ერისთვის წინააღმდეგ.

აი, ასეთ მოწინააღმდეგეთაგან და სხვა-და-სხვა წრის წარმომადგენლებისაგან შეადგინა გ. ერისთავმა პირველი თავისი სათეატრო დასი და, რასაკვირველია, ყველასთან უნდა გაეწია ბრძოლა და ეტვირთა ბრძოლის შედეგი, უსიამოვნება და მწუხარება. მაგალითად პ. ი—ნი, რომელსაც იმ დროს დიდი ფილოსოფოსობის სახელი ჰქონდა გავარდნილი, გამხნევების მაგიერად გ. ერისთავს პირში ლანძღავდა უშვერი შენიშვნებით: დიდი თავხედობა არისო თეატრის გამართვა, ღონე არა გვაქვსო, თეატრის საშუალებით „მეძავ-კურროობა“ გაგვიჩნდებაო. გონივრება მოითხოვს ქართული თეატრის განხორციელებას თავი დავანებოთო და სხვა.

მეორე მხრით თ. რ. ე. ყოველ ღონისძიებას ხმარობს, დაწყებული საქმე ჩაშალონ, ჰკრებს ქუჩის ხმებს და იგონებს: ხალხში ხმა გავარდნილიაო, კომედიანჩიკები ჩამოსულან და ჯამბაზობას მართავენო. ერთი მხრით ესა და მეორე მხრით ბატონიშვილის მარიამის მუქარა ძალიან აფთხობდა და აშინებდა მაშინდელს დიდკაცის ქალებს, რომელთაც უნდა ეთამაშნად სცენაზე. ისინიც გულს იცრუებდენ და მზად იყვენ საქმე ჩაეშალათ.

რომელ ერთისთვის უნდა გაეძლო თ. გ. ერისთავს? ბატონიშვილის მარიამის ტუქსვისა, პ—ის ხეპრეობისა, თ. რ—ს ხრიკებისა თუ ჰ—ის ქართულ-რუსულის გამოთქმისათვის.

მართლაც, რომ გ. ერისთავი ამ საქმეს თავს ვერ მოაბამდა, გონება-განათლებული და ჭკუა-დამჯდარი კნეინა ქეთევან ორბელიანისა, დიდი გიორგი ერისთვის ასული რომ არ გასჩენოდა მფარველ ანგელოზად.

კნ. ქეთევანმა მტკიცე ხასიათი გამოიჩინა. ის არ შეუშინდა არც რ—ს ხრიკებს, არც ბატონიშვილის მუქარას, თანაუგრძნობდა თავის ნათესავის ნიჭს, წინ-და-წინვე გულში იხატავდა, რა დიდი საქმეც იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება და, აი, ამ ქალმა მიიმხრო სხვა წარჩინებული გვარის ქალებიცა, როგორც მაგალითად ბაბალე ანდრეევსკისა, ან. ოკლობჟიოსი და კნ. ან. გაგარინისა. მეორე მხრით მისი თანამედროვე ამხანაგებიც შეურყეველი ბურჯები გახდენ გ. ერისთვის საქმის დასამთავრებლად. თვითონ გიორგიც იბრძოდა მედგრად და ხმარობდა შესაფერს იარაღს, ვისთანაც როგორი სჯობდა. მარიამ ბატონიშვილთან და წარჩინებულ პირებთან იყო დარბაისელი, ზრდილობიანი და დაკრძალული. პ—ნისთანა კაცებთან კი შეუპოვარი და ენა-მახვილი. მართლაც რომ დიდი მხნეობა სჭირდებოდა მას, რომ ცალკე თავის ნება სათეატრო დასი შეემაგრებინა და ცალკე ქვეყნის უთავბოლო კიცხვისათვის გაეძლო. მაგრამ გიორგის და იმის ამხანაგების აღტაცებულმა თანაგრძნობამ იმდენი მხნეობა და ძალა აღმოაჩინა, რომ 1850 წელს 2 იანვარს ქართველმა საზოგადოებამ პირველად დაინახა სცენაზე თავისი ომგზავსო ცხოვრება: ანდღუყაფარების უსაქმურობა, მათი ამაოება ქორ-მეძებრების დევნაში, ძველი თავადიშვილების დავალიანება უზომო ხარჯვის გამო, განათლებული მებატონის ფუქსავატობა, ჩვენებური ვაჭრების გაიძვერაობა და იმათ ხელში გადასვლა ქართველების ადგილ-მამულებისა. რასაკვირველია, რომ ყოველსავე ამ გვარს ცუდს მხარეს წარსულის შთამოებისას მოსდევდა ის სამწუხარო შედეგი, რომელსაც დღეს ვხედავთ ჩვენის თავად-აზნაურობის გალატაკებაში. თ. გ. ერისთავი მით უფრო ძვირფასი მოსაგონებელია ჩვენთვის, მით უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველების წინაშე, რომ ის იმ დროსვე ჰხედავდა ჩვენის საზოგადოების სამწუხარო მომავალს მდგომარეობას და თავის დრამატული თხზულებით სდევნიდა იმ-დროის ცხოვრების ცუდს მიმართულებას. გ. ერისთავთან ერთად ძვირფასნი და ნეტარ სახსენებელნი არიან აგრეთვე ის პირები, რომელნიც იმ დროს გ. ერისთვის გულის წადილს ხელს უწყობდენ და მხარს აძლევდენ საბრძოლველად. იმათი მეოხებით ორმოც

და სამის წლის წინად დაარსებულმა ქართულმა სცენამ დღეს უკვე მტკიცე ნიადაგზე დადგა ფეხი და სანუგეშო ნიშნებსაც გვაძლევს მომავალის აღორძინებისას.

იმ დროებაში ერი თეისვე თაოსნობით დაარსდა შესანიშნავი წრე ზემოქართლელი მწერლებისა, რომელთაც ჩვენს ლიტერატურაში ახალი ხელოვნებითი მიმართულება დააფუძნეს და ქართული ენა დინჯი ზემოქართლის კილოთი გაამდიდრეს. ამ ხანას ჩვენის ლიტერატურის წარმატებისას მე ვუწოდებ ზემოქართლის ხანას, რომლის განხილვა შემდეგისათვის იყოს.

გ. წერეთელი

## ჭაღარა

(დიდ-მოურავის სააკაძის სიმღერა)

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ვეღარ გაჰკრეის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე ვით საუკუნები
სხვა-და-სხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიღვივებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარე-მოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მთელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
ინით შეღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჰვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!..
და შენც ტარიელს მოგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინა-მორბედი'...

არა! აჰყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!...
გმირებს უძახის... უკრავს
ჩემი დაფი და ნაღარა!...

აკაკი

## პაწარა ლევანი

(ისტორიული ამბავი)

რად დაჩუმდი, ფართხო? რას უგდებ ყურს? მერე რა მოუვიდა იმ ობოლს? მითხარი, გაათავე!... შეეკითხა ლევანი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეძინა.

— არაფერს, ბატონიშვილო! ქარი უბერავს და მე ციხეში ხმაურობა მეგონა.

„... მერე ობოლს გზაზედ შეხვდა ერთი ბრძენი. გამარჯვებაო!—გაგიმარჯოსო! საით მიდიხარო? კითხა ბრძენმა. ბედის საძებნელად მივდივარო, მიუგო ობოლმა. მაშ წამო, სამი წელიწადი მემსახურე და სამ დარიგებას მოგცემ, რომელიც მთელ ცხოვრებაში გამოგადგებაო, უთხრა ბრძენმა. კარგი, კარგიო! წავიდენ. წლის დამლევს ბატონმა ასწავლა: რაც კი ეზოს გარედ იპოვო, შიგნით შემოიტანეო. მეორე წლის დამლევს უთხრა: შენი საიდუმლო დედაკაცს არ ანდოვო. მესამე წლის დასასრულს უთხრა: არავის არა ათხოვო რა, თუ ძალიან არ შეგეხვეწოსო. გამოეთხოვა ობოლი და შინ წავიდა. ააშენა ქოხი, გარს ღობე შემოარტყა, შეირთო ცოლი და დაიწყო ცხოვრება. ერთხელ ღობის გარედ წითელი გველი ნახა; მოაგონდა დარიგება და გადისროლა ეზოში. გველი დაბინავდა იქ და ყოველ დღე თავის ხვრელის პირს ძვირფას თვალს წარმოაგდებდა ხოლმე. ობოლი აგროვებდა ამ საუნჯეს და მდიდრდე-

ბოდა. ერთხელ ცოლი აუტყდა, როგორ იძენ ამ სიმდიდრესაო; აუტყდა და ალარც...“

— აგერ, ფართხო, კიდევ ხმაურობენ! ნეტა; ვინ არიან? ჩემ წასაყვანად ხომ არ მოსულან?—წამოიძახა ლევანმა და გააწყვეტინა ფართხოს ლაპარაკი.

მსახური ფანჯარასთან მივიდა ყურის დასაგდებლად. ეზოში მართლა ხმაურობა და ცხენის ფეხის ხმა ისმოდა. ფერი ეცვალა მოხუცს, საგონებელმა წაილო, ვინ იქნებიანო. მაგრამ გარკვეეით არა ისმოდა რა, რადგან კოშკი მაღალი იყო, ქარიც ისევ უსტვენდა და ხევბს აშრიალებდა. ვერც არაფერი დაინახა, რადგან ბნელოდა. კოშკიდგან გამოსვლა კი არ შეეძლო: ეს რამდენიმე დღე გაეიდა მას აქეთ, რაც ბძანება გასცეს, რომ კოშკში დაემწყვდიათ ბატონიშვილი ლევან და იმისი მსახურიცა.

ისევ მიწყდა ხმაურობა. მარტო დარაჯის ხმალა გაისმოდა ხანდახან, მაგრამ ზღაპრისა ალარავისა სცხელოდა! ბავშვი შიშით ვერხვის ფოთოლიეითა თრთოდა, მსახურს მიჰკროდა და დიდი შავი თვალები მალმალ ცრემლით ევსებოდა. უიმისოდაც ფერმკრთალი ახლა მთლად გაფითრებულიყო.

ფართხო ბევრს ეცადა დაემშვიდებინა და დაეძინებია ყმაწვილი. როცა ბოლოს ჩაეძინა პატარას, მსახურმა დაიჩოქა მძინარის წინ და სთქვა სასოებით: მთავარა ანგელოზო ხეთისაო და წმინდა გიორგი ილორისაო! დაიხსენით გაჭირვებისაგან ეს უმანკო ბავშვი! თქვენ იცით,"რა განსაცდელი მოელის ამას. წაუმართეთ გზა ჩვენ მომხრეებს და გაძლევთ ამის სამაგიეროდ მტკიცე ალთქმას გააახლოს და შეამკოს თქვენი დიდებული ტაძრები, როდესაც ელირსება სამეგრელოს მთავრობა.

მსახურს მიზეზიცა ჰქონდა შიშისა. პატარა ლევანი გიორგი დადიანის შვილი იყო, სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე. სამეგრელოს განაგებდა ახლა იმისი ბიძა მამია დადიანი, რომელსაც ცოლად ესვა გიორგი გურიელის და, როსტომ გურიელის ქალი. როდესაც ლევანის მამა გიორგი დადიანი გარდაიცვალა; იმისმა ბიძამ მამია დადიანმა თავის ცოლის ძმის გიორგი გურიელის შემწეობით დაიჭირა სამეგრელოს სამთავრო, თუმცა მემკვიდრე ლევანი იყო.

მეგრელებს არ ესიამოვნებოდათ ეს ამბავი. წარჩინებულ თავადებს და სამღვდელოებას სწყინდათ მემკვიდრის დაჩაგვრა და მეტადრე, რომ ეს ამბავი გურულების დახმარებით მოხდა. გურულებს მთავრის კარზედ და ყველგან სამეგრელოშიაც, ამაყად ეჭირათ თავი და ესეც არ მოსწონდათ მეგრელებს. უსიამოვნობა თანდითან ძლიერდებოდა და ლევანის მომხრეები მრავლდებოდენ. იმათ აფხაზეთის მთავარიც აქეზებდა, რადგან გიორგი დადიანის მომხრე იყო და ახლა ლევანის მხარე ეჭირა. ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრა ლევანის ბიძა მამია დადიანი და გაიძრახა მემკვიდრის თავიდან მოშორება.

უეცრად ლევანი მოიტაცეს სასახლიდან და შხეფის ციხეში დაატყვევეს. მისმა ბიძამ კი გამოაცხადა, რომ გიორგი გურიელმა მოატაცებინა ყმაწვილიო და ციხეში დაამწყვდევინა, რადგან იმის მამის მტერი იყო და ახლა შვილზედ ყრილობს ჯავრსაო. ყმაწვილს მარტო კარის-ყმა ფართხო მიუჩინეს.

ლევანის მოტაცებამ მთლად აალელვა სამეგრელო. მომხრეებმა დააპირეს ყმაწვილის ციხიდან გატაცება აფხაზეთში. მოახერხეს და აცნობეს ეს ამბავი ფართხოს, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ ერთგულებასა არ უმტყუნებდა და უბრძანეს მზადა ყოფილიყო.

ი რძნეს ეს ლევანის ბიძის, მამია დადიანის, მომხრეებმა და დაასკვნეს ყმაწვილის მოკვლა. თუმცა მის ბიძას მამიას ძალიან ეძნელებოდა ამისთანა ბოროტების ჩადენა და ეშინოდა კიდეც, მაგრამ იმისმა მომხრეებმა და მეტადრე ცოლმა ძალა დაატანეს. ახლა საქმე მარტო ისე იყო, რომ ბავშვს და იმის მსახურს აუკრძალეს კოშკიდან გამოსვლა.

და კიდეც ამ ბრძანებამ შეაფიქრა ფართხო. ლევანმა მართალია არ იცოდა ყველა ეს, მაგრამ მსახურს ალელვებას ატყობდა და მიმხვდარი იყო, რომ რაღაც უბედურებას უნდა მოლოდებოდა.

ბავშვი რო დააძინა; ფართხო ისევ ფანჯარასთან მივიდა ყურის დასაგდებაად, მაგრამ ახლა ქვეიდგან ქარის შრიალის მეტი ალარა მოისმოდა რა.

შუალამე ვადასული იყო, როდესაც გაიღო სახლის კარები. ხმაურობაზედ ფართხოს და ლევანს ერთად გამოეღვიძათ და წამოხტენ. თავს ორი შეიარაღებული კაცი წასდგომოდათ. თავ-პირი ყაბალახით ქონდათ შეხვეული; მარტო თვალები-ღა უჩანდათ. ფართხომ ვერ იცნო ისინი და არ იცოდა სამტროდ იყვენ მოსულები, თუ მოკეთებისაგან მოგზავნილები. მაინც ყმაწვილს ხელი მოჰკიდა და წინ გადაელობა მოსულებს.

ბძანებაა, ყმაწვილი ციხიდან უნდა წავიყვანოთ! უთხრა ერთმა.

— არ ვიცი, მტრები ხართ, თუ მოკეთეები, მაგრამ ყმაწვილი მე მაბარია და მარტო, უჩემოდ, ამის წაყვანა არ შეიძლება, მიუგო ფართხომ.

მოსულებმა შეატყვეს, რომ მსახური არ მოშორდებოდა ყმაწვილს. ცოტა შეფიქრდენ და მერე უთხრეს, ისიც გაყოლოდა ბატონიშვილს. ერთი წინ

გაუძლეა იმათ, როდესაც კოშკის გარეთ კარებიდან გაეიდენ; უკანამ ფართხოს ხანჯალი ჩასცა ბეჭში და ძუძუში გაახედა. ამავე დროს წინამ მოხეია ბავშვს ხელი და კოშკიდან გადატყორცა. მსახურის გვამი ხაროში ჩააგდეს და მიწა მიაყარეს. ლევანის გვამი იქვე დატოვეს. მემრე დაიწყეს ძახილი. შეგროვდა ხალხი. ნახეს ბავშვი კოშკის წინ უსულოდ ეგდო, თავი დაეკრა ქვაზედ და სისხლი იმის გძელ ხუჭუჭ თმას გაბმოდა და შელებულიყო.

ხმა ასე გაავრცელეს: მსახური ციხიდან გაპარულიყო, ბავშვს მარტო შეშინებოდა და, კოშკიდან გამოსვლა რომ მოენდომებინა, გადმოვარდნილიყოო. ეს მოხდა მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს.

ვ. ბარნოვი.

## მოსწრებული სიტყვა

ერთხელ ასაფლავებდენ მოხუცებულს ქალს მეტად მხნესა და ოჯახის პატრონად განთქმულს. მიცვალებულს მარტო ერთი შვილი დარჩა, რომელიც მხნეობასთან და ოჯახის ზურჯობასთან ცოტა მწყრალად გახლდათ. ჩვენის კალამ დალოცვილს და ენა-წყლიანს პოეტს ჩააცივდენ მიცვალებული სიტყვით მოიხსენიეო. პოეტი ცუდ გუნებაზედ იყო და უარი უთხრა. რომ აღარ მოეშვენ, იკითხა, აბა რა ვთქვა, რა საგანი ავარჩიოო. შე დალოცვილო, ის მაინცა სთქვი, წელიწადში ოთხასს ინდოურსა ზრდიდაო.

— ინდოურების გამოზრდას ერთი შვილი ჰყავდა, ის გამოეზარდა, ის არა სჯობდაო?... მიუგო ბრაზ-მოსულმა პოეტმა.

* * *

თეატრში წარმოდგენა იყო. პიესა მოითხოვდა, რომ ერთი აქტიორი შემოსულიყო და მეორესთვის უცებ სამიათასი თუმანი სესხად ეთხოვა. ამ სცენის დროს ერთი მდიდარი მაყურებელთაგანი, რომელსაც სესხად ფულების მლევა არ უყვარდა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ანტრაქტებში ჰკითხეს, პიესა როგორ მოგეწონაო?

— სისულელეაო, სხვა არაფერი! — მიუგო ჯიბე-სქელმა კრიტიკოსმა. ვის გაუგონია აგრე ერთბაშად სამი ათასი თუმნის თხოვნაო?

## შეცდომების გასწორება

„კვალის“ პირველ ნომერში შემდეგი უმთავრესი შეცდომები მოგვივიდა:

| | არის | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| მე-2 გვ. 1 სვ. მე-17 სტრ. ზემ. | დაგითესია | დაგვითესია |
| — 3 2 — — 9 — ქვემ. | წლევანდელი მოვალეთა საადგილ-მამულო ბანკების ვაივაგლახი, | წლევანდელი საადგილ-მამულო ბანკების მოვალეთა ვაი-ვაგლახი, |
| — 5 2 — — 11 — ზემ. | არც მე მესმის მათი ენა; | არც მესმის მათი მე ენა; |
| — 14 1 — — 8 — ქვემ. | ზოგაც შიგა და შიგ დომხალიც გამოურიოს? | ზოგად შიგა და შიგ დომფალიც გამოურიოს |
| — 17 1 — — 24 — ზემ. | გოგორები | გოგროხები |

**შინაარსი:** — 1. ორი შეხვედრა, აკაკისა. — 2. მიმოხილვა. — 3. ხალხური ლექსი. — 4. სწავლის საქმე ჩვენში. — 5. ორმოცდა სამი წელიწადი ქართულის თეატრისა, გ. წერეთლისა. — 6. ჭადარა, ლექსი აკაკისა. — 7. პატარა ლევანი, ისტორიული ამბავი, ვ. ბარნოვისა. — 8. მოსწრებული სიტყვა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადება

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოდის ამ 1893 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან ს ა მ თაბახამდის.

მუდმივი თანამშრომელნი არიან: თ-დი აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, თ-დი ი. მაჩაბელი.

წლიურად ელირება გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მანეთი.

ნახევარის წლისა გაუგზავნელად 3 მან. 50 კ., გაგზავნით ოთხი მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მანეთი, გაგზავნით 3 მანეთი. თითო ნომერი აბაზათ.

### ხ ე ლ ი ს - მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლად.

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ელირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე


Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Январь 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типографія Груз. Изд. Т—